



ავად ვარ სად ვიმკურნალო ? როგორ გავიგო, სად წავიდე ?

მე შეიძლია ჩემთან ახლოს მდებარე ორგანიზაციებისა და მედიცინის სპეციალისტების სია ვიპოვნო საიტზე <http://annuaresante.ameli.fr>,



ჯანდაცვის სპეციალისტთან, ჰოსპიტალის გარეთ

ჯანმრთელობის პრობლემის გამო, შეგიძლიათ მიმართოთ „ოჯახის ექიმს“, რომელიც გაგსინჯავთ და გამოგიწერთ საჭირო მედიკამენტებს. თუ საჭიროებთ დამატებით გასინჯვას ან მკურნალობას, გადაგამისამართებთ „სპეციალისტ“ ექიმთან ან დამხმარე მედპერსონალთან (ექთანი, მასაჟისტი-ფიზიოთერაპევტი და სხვა).



აფთიაქში

ექიმის ან საავადმყოფოს მიერ გამოწერილი, ან ურეცეპტო, მედიკამენტების საყიდლად კონსულტაციისთვის.

ფასიანი სამედიცინო მომსახურება შეიძლება ანაზღაურდეს თქვენი ჯანმრთელობის დაზღვევის მიერ : იხილეთ გვერდი 2 გასავლელი საფეხურებისთვის



ჰოსპიტალში

გადაუდებელ შემთხვევაში

ზოგიერთი გასინჯვის ან კონსულტაციისთვის, წინასწარ დანიშნულ შეხვედრაზე.



დაწესებულებებში, სადაც ვიმკურნალეხენ უფასოდ, როგორც არ უნდა იყოს თქვენი სიტუაცია

ყველა სახის მკურნალობისთვის, სამედიცინო მომსახურების მუდმივი წვდომის (PASS) ცენტრებში

ორსული ქალებისთვის და 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის : PMI-ის ცენტრი

ტუბერკულოზისთვის : ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი (CLAT)

VIH-ის, ჰეპატიტისა და სქესობრივი გზებით გადამდები ინფექციების გამოსავლენად : CeGIDD

კონტრაცეპტული საშუალებების მისაღებად : ოჯახის დაგეგმვის ცენტრი (CPEF)

დამოკიდებულებების დასაძლევად : CSAPA სპეციალიზებულ ასოციაციებში.



გადაუდებელი სამედიცინო

შემთხვევისას მე ვრეკავ 15 ან 112 და ისინი მიმართავენ ჩემი სიტუაციის შესაბამისად.

იკოდეთ

არა დისკრიმინაციას და სამედიცინო საიდუმლო: ჯანდაცვის სპეციალისტებს (ექიმები, ექთნები, სტომატოლოგები და სხვა) არ შეუძლიათ, უარი თქვან თქვენს მოვლაზე თქვენი წარმომავლობის გამო. მათ ეკრძალებათ, თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადასცენ რომელიმე სხვა პირს, მათ შორის ოფიციალურ უწყებებს.

მკურნალი ექიმი: იმისთვის, რომ მიიღოთ უკეთესი მოვლა და თანხის ანაზღაურება, უნდა აირჩიოთ ექიმი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი თქვენს სამედიცინო ზედამხედველობაზე. ისაუბრეთ ამაზე თქვენი პირველი კონსულტაციის დროს.

არ შეიძლება ჩაგიტარდეთ რაიმე სამედიცინო ქმედება ან მკურნალობა, სანამ არ მიიღებთ სრულ ინფორმაციას და მისცემთ თანხმობას.

როგორ მოვიპოვოთ სამედიცინო და ზღვევა მკურნალობის უზრუნველყოფა?

საფრანგეთში მკურნალობა ფასიანია, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სამედიცინო და ზღვევით, რომელც თქვენი სიტუაციის შესაბამისად ნაწილობრივ ან სრულად ფარავს თქვენი და თქვენი ოჯახის მკურნალობის ხარჯებს. მოითხოვეთ ინფორმაცია და განაცხადსთვის ფორმა თქვენი საცხოვრებელ ადგილს ჯანმრთელობის და ზღვევის მთვარ ფონდი - CPAM -ში ან დარეკეთ ტელფონზე 3646 (ნომერი ფასიანია) ან კიდევ ეწვიეთ საიტებს : www.ameli.fr და www.complementaire-sante-solidaire.gouv.fr

- მნიშვნელოვანია**
- ✓ თუ თქვენს შვილებს ესაჭიროებათ მკურნალობა : იმ შემთხვევაშიც კი თუ დაზღვევაზე განაცხად არ შეგიტანიათ, ან თუ თქვენი მოთხოვნა შესწავლეს პროცესშია, მიმართეთ CPAM -ს, შეავსეთ ფორმა და დაურთეთ დამადასტურებელ დოკუმენტაცია, სამედიცინო მომსახურების ინვოისები, რათ სწრაფად მოხდეს ხარჯების ანაზღაურება.
 - ✓ უნდა გადასცეთ სტაბილური მისამართი, ან მოითხოვთ რომელმე ორგანიზაციაში (მაგ: CCAS) ადინისტრაციულ მისამართი რათ შეძლოთ წერილების მიღება თუ სტაბილური საცხოვრებელ არ გაგაჩნიათ.

თქვენ გაგაჩნიათ ბინადრობის უფლება. მკურნალობის ხარჯების უზრუნველყოფად, თქვენ უნდა აიღოთ ორი სახის დაზღვევა :

- 1) სამედიცინო დაზღვევა :**
იგი ნაწილობრივ ფარავს თქვენი მკურნალობის ხარჯებს. განაცხადსთვის ითხოვთ შესავსები ფორმა CPAM-ში და დაურთოთ საჭირო დოკუმენტაცია. როგორც კი თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილება, თქვენ მიიღებთ დოკუმენტს სახელწოდებით « უფლებებით სარგებლობის მოწმობა » შემდეგ კი ბარათს « carte Vitale », რომელც უნდა წარადინოთ ექიმთან, საავადმყოფოში, აფთაქში და ა.შ. ვიზიტის დროს რათ მოხდეს ხარჯების დაფარვა.
- 2) შემავსებელ სამედიცინო დაზღვევა :**
იგი მკურნალობის ხარჯებს უფეთსად ანაზღაურებს, ან სრულად, ან ნაწილობრივ თქვენი რესურსების და არჩეულ კონტრაქტის მიხედვით.
 - * თუ გაქვთ მცირედი შემოსავალი : შეგიძლიათ უფასოდ ისარგებლოთ სოლდრულ შემავსებელ სამედიცინო დაზღვევით (C2S) თქვენი მხრიდან ყოველგვარი ფინანსური მონაწილეობის გარეშე. თქვენ არ მოგიწევთ მკურნალობის ხარჯების გადახდა ექიმთან, საავადმყოფოში, აფთაქში... მათ დაფარვა პირდაპირ ხდება. ითხოვთ განაცხადს ფორმა თქვენს CPAM-ში.
 - * თუ თქვენი შემოსავალი უფრო მეტია : თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ C2S-ით სარგებლობა თუ ასაკთან დამოკიდებულ ფინანსურ მონაწილეობას უზრუნველყოფთ დაზღვევა იგივეა, არ აქვს მნიშვნელობა ფინანსური მონაწილეობა გადასახდელ გექნებათ თუ არა. ითხოვთ განაცხადს ფორმა თქვენს CPAM-ში.
 - * თუ თქვენი შემოსავალი საკმაოდ მაღალია, C2S-ით სარგებლობისთვის : თქვენ შეგიძლიათ აიღოთ ფასიანი დამატებით დაზღვევა, რათ უფეთსად დაფაროთ მკურნალობის ხარჯები. ინფორმაციისთვის პირდაპირ მიმართეთ სადაზღვევო კომპანიებს.

გარ ლოკალი / სტუდენტი / იმ პირის ოჯახის წევრი რომელსაც უფვი აქვს სამედიცინო დაზღვევა საფრანგეთში:	ვლებულბ რომელმე სოციალურ დახმარებას (აქტიური სოლდრობის შემოსავალი, დახმარება ოჯახზე, საცხოვრებელს ხარჯებზე, ინვალდობაზე...):	დასაქმებულ ვარ საფრანგეთში:	ვარ განსხვავებულ სიტუაციაში:
სამედიცინო დაზღვევით სარგებლობა შემიძლია საფრანგეთში ჩამოსვლსთანავე. განაცხად ვაკეთებ ჩემს CPAM-ში და არ ვიღებ 3 თვით ბინადრობას საფრანგეთში.	სამედიცინო დაზღვევით სარგებლობა შემიძლია საფრანგეთში ჩამოსვლსთანავე. განაცხად ვაკეთებ ჩემს CPAM-ში და არ ვიღებ 3 თვით ბინადრობას საფრანგეთში.	შრომით საქმიანობის დაწყებისთანავე დაზღვევით ვარ უზრუნველყოფილი. განაცხად ვაკეთებ ჩემს CPAM-ში და არ ვიღებ 3 თვით ბინადრობას საფრანგეთში.	უნდა დვილო 3 თვეზე მეტ დროით ბინადრობას საფრანგეთში სანამ განაცხად ვაკეთებ ჩემს CPAM-ში. ჩემს განაცხად დვურთავ ბინადრობის დამადასტურებელ საბუთებს.

CPAM-ში სამედიცინო დაზღვევაზე განაცხადსთვის (რომლის ასლაც ინახავთ):

- ✓ ანკეტაში აღრიცხავთ თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ყველ პირს რომლებიც საფრანგეთში ცხოვრობენ, რათ ისინიც აგრეთვე უზრუნველყოფილი იყვნენ დაზღვევით.
- ✓ წარმოადგინთ საფრანგეთში 3 თვეზე მეტ დროით ბინადრობის დამადასტურებელ საბუთებს თუ ამის საჭიროებაა, თქვენი გვართ და თარიღით (მაგალთად: ბინის ქირის, ტელფონის გადასახად ინვოისი, ექიმის რეცეპტი, რომელმე ასოციაციის მოწმობა...).
- ✓ დაურთავთ თქვენი მკურნალობის ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციას თუ ისინი გაგაჩნიათ, რათ სწრაფად მოხდეს თქვენი საქმის შესწავლა და თუ შესაძლებელია, მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება.

